№ 189 სეკტემბერი 6, პარასკევი 1891 სეკტემბერი 6, პარასკევი № 189


**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესასვლელს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

---

*** ტფილისის დედათა გიმნაზიაში კვირას, ამ თვის 8, ნაშუადღევის პირველს საათზე, წლიური აქტია დანიშნული გასულის წლისა, რადგანაც აპრილში მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულის გარდაცვლის გამო აქტი არ მოხდა.

*** მისი უმაღლესობა პრინცი ლუი ნაპოლეონი ამ თვის 4 ტფილისიდამ კავკავში გაემგზავრა.

*** ოთხშაბათს, ამ თვის 4, ამიერკავკასიის რკინის გზით ბაქოზე ორი ვაგონი ვერცხლი, ათას ფუთამდე, გაიგზავნა. ეს ვერცხლი ინგლისიდამაა გამოგზავნილი, 945,000 მანეთადაა დაფასებული და სპარსეთის ზარაფხანაში—თეირანში იგზავნება.

*** გუშინ-წინ ტფილისში ჩამოვიდნენ ავსტრიიდამ ძმანი კლიმები და ბ-ნი გრუბე და ჰსურთ დიდი ალებ-მიცემა გაჰმართონ.

*** ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა და ამათ დირექტორს შორის ზაფხულში მომხდარის უთანხმოებისა გამო შემდგარი საქმე, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ არ დაბოლოვებულა, არ დაბოლოვებულა უფრო იმიტომ, რომ დირექტორს ამ სასწავლებლისას ბ-ნს ხარკოვს არ მოსწონებია ამ სკოლის პედაგოგიურ საბჭოსი, თუმცა თავმჯდომარედ თვითონვეა, გადაწყვეტილება იმ ყმაწვილების შესახებ, რომელნიც, ბ-ნ ხარკოვის აზრით, მოთავენი იყვნენ ხსენებულის უთანხმოების ატეხაშიო.

ის ხომ ვიცით, რომ სახელოსნო სასწავლებლის საგანგებო პედაგოგიურმა კრებამ კომისია ამოირჩია უთანხმოების მიზეზის გამოსაკვლევად. კომისიაში თვით ბ-ნი ხარკოვიც იყო. ისიც ვიცით, რომ ბ-ნმა ხარკოვმა თავისის ნებით რვა, თუ ცხრა შეგირდი დაითხოვა 1-ლ ოქტომბრამდე, მაშინ როდესაც სწავლა პირველ ენკენისთვეს იწყება. კომისიამ დროსა და გარემოების მიხედვით, რაც შეიძლო, გამოიძია საქმე და ის აზრი დაასკვნა, რომ სანამ მთელი სასწავლებელი თავს არ მოიყრის, მანამდე საქმის გამოკვლევა ძნელიაო.

ამ აზრის მიხედვით წარსულ მარიამობისთვის 28-ს პედაგოგიურმა რჩევამ სხვათა შორის ბ-ნ ხარკოვის მიერ დათხოვნილი შეგირდებიც იცნო ღირსად შემდეგს კლასებში გადაყვანისა. ბ-ნმა ხარკოვმა ეს გადაწყვეტილება იუცხოვა ქალაქდი მისწერა ქალაქის თავს და სთხოვდა, ქალაქის სკოლების გამგე კომიტეტის წევრი ბ-ნი ივანენკო გამოგვიგზავნეთ, რომ მონაწილეობა მიიღოს ჩვენს კრებაზედ, რომელიც სამშაბათს, 3 ენკენისთვეს, გვექნება სკოლაშიო; პედაგოგიურ რჩევის გადაწყვეტილება მეტად ცუდს ზედმოქმედებას იქონიებს იმ ყმაწვილებზედ, რომელთანაც ერთად გადაიყვანეს ზაფხულის „უწესოების მოთავენიცაო“, მაშინ როდესაც ესენი სასტიკად დასჯილ უნდა იქმნენ და არა შემდეგს კლასებში გადაყვანილიო, გამოგვიგზავნეთ ბ-ნი ივანენკო, სამშაბათს ჩვენს კრებას დაესწროს და თავისის გამოცდილებით გვიწინამძღვროსო.

ქალაქის თავის მინდობილობით, ბ-ნი ივანენკო სახელოსნო სკოლის სამშაბათის პედაგოგიურს კრებას დაესწრო და თავმჯდომარეობდა კიდეც. კრებამ მოისმინა ბ-ნ ხარკოვის აზრიცა და კომისიის მოხსენებაც, მაგრამ კრებამ ისევე გადასწყვიტა, როგორც წინად ჰქონდა გადაწყვეტილი: უწესოების მიზეზი კიდევ უფრო ვრცლად გამოიკვლიოს და იმ მოსწავლეთ, რომელნიც ბ-ნმა ხარკოვმა 1-ლ ოქტომბრამდე დაითხოვა, ნება მიეცეთ კლასში სიარულისა.

ამ საქმის გამო დიდი ამბავი ასტეხეს, მაგრამ ბოლოს მაინც ის აღმოჩნდა, რომ „რწყილს აქლემი ეშობნა“.

*** ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ბელგიელთა უსახელო საზოგადოებამ უარი უთხრა ქალაქის თავს თავ. არღუთინსკის და ქალაქის დაწესებულებაში მოსამსახურე ხუთის კაცისათვის მუქთი ბილეთები არ მისცა ცხენის რკინის გზით სასიარულოდ. ბელგიელთა საზოგადოების სამმართველომ უარი უთხრა ამ სათხოვარზედ და ქალაქის თავმა ბ-ნს რადლეს, საზოგადოების დირექტორს, რაც წინად მიღებული ჰქონდა, ვგონებთ, 12 ბილეთი, ისიც უკანვე დაუბრუნა.

მას აქედ ეს რამდენიმე თთვე გავიდა. ბ-ნს რადლეს შერცხვა და იმით დაიწყო თავის მართლება, რომ 12 ბილეთზედ მეტი გვაქვს მუქთად გაცემული ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთათვისო. როცა გამგეობამ მოიკითხა, ტყუილი გამოდგა ეს საბუთი და მოსთხოვა ბ-ნს რადლეს, გვაცნობეთ იმათი სახელი და გვარები, ვისთვისაც ბილეთი მიგიციათო. რასაკვირველია, რაც არ იყო, რას აცნობებდნენ და ამ დღეებში დიდი საბოდიშო წერილი მოიწერა ბ-ნმა რადლემ ქალაქის თავის სახელობაზედ.

*** ტფილისის საბჭოს დელეგატი ცხენის რკინის გზების ზედამხედველობისათვის დანიშნული, ბ-ნი პაშკევიჩი, დიდს საჩივარს უცხადებს, როგორც ცხენის რკინის გზის მმართველობას, ისე ჩვენს გამგეობასაც. საქმე ისაა, რომ ბ-ნმა პაშკევიჩმა მაგრად ჩასჭიდა ხელი ამ გზებზე დამკვიდრებულს უწესობას და ყოველს ღონეს ხმარობდა, წესი და რიგი ჩამოეგდო ამ საქმეში. ცხენის რკინის გზის გამგეობა თავისას მაინც არ იშლიდა, მოუვიდოდა თუ არა ბ-ნ პაშკევიჩისაგან რომელიმე მოთხოვნილება, საზოგადოების მმართველობა ჯერ ყურს მიუგდებდა, მერე ერთის ხნის შემდეგ პასუხს გასცემდა, მაგრამ ისე-კი, რომ უთუოდ რაიმე ხრიკებს მოიგონებდა. ამ გვარად აძნელებდა საქმის გაკეთებას მმართველობა. ბოლოს, როცა ბ-ნმა პაშკევიჩმა ხელი მაგრად მოსჭიდა, საზოგადოების მმართველობამ ქალაქის გამგეობას შესჩივლა. გამგეობამ გუშინ წინ, 4 ამ თთვესს, ქაღალდით აცნობა ბ-ნს პაშკევიჩს, რომ, თუ რაიმე შენიშვნა გქონდეს ცხენის რკინის გზების შესახებ, ჯერ ჩვენ გამოგვიცხადე და მერე ჩვენ ვიცითო.

რასაკვირველია, ესეთი მოწერილობა გამგეობისა ბ-ნს პაშკევიჩს ეუცხოვა და, როგორც ამბობენ, დელეგატობის თავის დანებებას თხოულობსო.

ცხენის რკინის გზის საზოგადოებასაც ეს უნდოდა.

*** ქართულ წიგნების მაღაზიის ამხანაგობამ განიზრახა, დააარსოს მომავალის წლის 1 იანვრიდგან ქალაქ სიღნაღში სამკითხველო და წიგნთ-საცავი. ამ მომავალ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ შემოსწირა სოფ. ბოდბისხევის წმ. კვირიკეს ეკკლესიის მღვდელმა ნიკოლოზ მაღალდაძემ თავის შედგენილი წიგნები 40 ცალი: თითო აბაზიან. 20 ხელთა, 10 ცალი ცხოვრება და ვნება წმიდისა დიდისა ეკატერინასი პოემად, 10 ც. ვნებანი მრუშებისაგან და ლოთობისაგან, პოემად. ამხანაგობა წიგნის მაღაზიისა მადლობას უცხადებს პატივცემულს მაღალდაძეს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბათუმში არსდება სამუდამო ქართული სცენა ბ-ნ ხარაზიშვილის მეთაურობით. დასიც უკვე შეუდგენიათ და აპირობენ ამ თვის 22-დგან დაიწყონ წარმოდგენები ჯერ-ჯერობით მხოლოდ ორს კვირაში ერთხელ ექნებათ წარმოდგენა. დასისთვის რამდენიმე არტისტი ტფილისიდგან მიუწვევიათ და სხვათა შორის ქ-ნი ეფემია მესხისა.

*** ნამდვილის წყაროდამ შევიტყეთ, რომ ქართული წარმოდგენები ტფილისში დაიწყება ამ თვის 16-დგან სათავადაზნაურო ბანკის თეატრში. წარმოდგენები გაიმართება არა ნაკლებ ექვსისა თთვეში. კომიტეტის მიერ მიწვეულნი არიან არტისტნი ქალნი: საფაროვისა, ავალიშვილისა, არლანი, ჩერქეზიშვილისა, ტარიელიშვილისა და არტისტნი: ვ. აბაშიძე, გე-

## ფელეტონი

---

### ორი მსხვერპლი

(სურათი რკინის გზის ცხოვრებიდგან)

ჩვენის რკინის გზის სამმართველოს დიდს შესავალს კარებთან აგერ ერთს თთვეზე მეტია, რაც დილის რვა საათიდგან მოკიდებული შუადღის ორ საათამდე თავ-ჩაღუნული და ღრმად შავებში შეხვეული, ასე 23 წლის ყმაწვილი ქალი, სოფიო სდგას და ამ უზარმაზარისა და აუარებელის მოხელეებით სავსე სახლიდგან ელის შველასა და ხსნასა. განა ისეთი რა დაემართა, რომ შეაწუხა სოფიო, ან რას გამოელის რკინის გზის მმართველობისაგან? ცხოვრების სახსარს მოკლებული, სამის პატარა წვრილშვილით უპატრონოდ და ქვრივ-ოხრად დატოვებული სოფიო იმიტომ შესჩერებია რკინის გზის მმართველობას, რომ ეს იყო იმის უბედურების მიზეზი, ამან მიიყვანა ამ განწირულებამდე.

ამ ერთის თვის წინად ჯერ ისევ ჯან-ღონით სავსე ქმარი მიწას მიაბარა. ერთად-ერთი იმედი დაჰკარგა და ქვეყნად აღარავინ დარჩა სოფიოს შემწე და დამხმარებელი. ერთად-ერთი მანუგეშებელი ცოლ-შვილისა, დაუღალავი მუშა გამოესალმა წუთისოფელს და ცოლ-შვილი ღვთის ამარა დასტოვა. ტიტია ათი წელიწადი ემსახურებოდა რკინის გზას და ათი წლის სამსახურის ჯილდოდ სულ ხუთი თთვე იყო, რაც კონდუქტორობა მიიღო. ძლივს ამოისუნთქა თავისუფლად, ძლივს შეიმოსა ღიმილით იმისი მუდამ დაღვრემილი სახე და— დახე ბედს! სიცოცხლე ზედ შეალია და დიდხანს არ დასცალდა, რომ ამ თავისუფლებით დამტკბარიყო.

ამას წინად გაზეთებში ამოიკითხავდით, რომ ორი საქონლის ორთქლმავალი ერთმანეთს დაეჯახა და, თვით მატარებლებს გარდა, სამი კონდუქტორიც ძლიერ დაშავდა. ამ სამს კონდუქტორში ერია ჩვენი ტიტიაც. ტიტიას ფეხები და გვერდები ჩაელეწა და ორის დღის შემდეგ გარდაიცვალა. მოკვდა ტიტია და თავისი სოფიო სამის პატარა შვილითურთ უპატრონოდ, უსახლ-კაროდ და ღვთის ამარად დასტოვა. მოულოდნელის უბედურებისაგან ზარ-დაცემული სოფიო თავისს მშობლებთან გადასახლდა: ან ვინ დააცადა უბედურს გამოემგლოვა ქმარი? ვინ მისცა ნება, რომ ერთს კვირას მაინც არის ძველს ბინაზე დარჩენილიყო და ქრისტიანული წესი შეესრულებინა თავისის ტიტიასთვის! მოკვდა ტიტია... სამსახურის ათი წელიწადი წამიერად გადაიქცა და დასაფლავების მეორე დღესვე სადგურის უფროსმა წარბშეუხრელად გამოუძახა გარედ სახელმწიფო სახლიდგან სოფიო თავისის ბარგებით და ბარგი-ბარხანით. სოფიოს ბედი, რომ იმის მშობლები სადგურის მახლობლად სცხოვრობდნენ.

ტიტიას დასაფლავების ერთის თთვის შემდეგ სოფიოს ასწავლეს, რომ რკინის გზის მმართველობა უეჭველად რითიმე შეგეწევა და შენს ქმარს ათის წლის სამსახურს მუქთად არ ჩაუტარებსო. აი ამიტომ დადის საწყალი სოფიო ყოველ დღე და დილიდამ ორ საათამდე, თითქო მოწყალებას თხოულობსო, კარებთან ატუზული ელოდდება უფროსის შუბლის გახსნას. სამმართველოში ყოველ დღე აუარებელი ხალხი შედიოდა და გამოდიოდა; არავინ ისე არ გაუვლიდა გვერდზედ სოფიოს, რომ არ შეეხედნა. ზოგიერთი ჰკითხავდა კიდეც: „რა საქმეზედ მოსულხართ, რატომ არ შეხვალთ უფროსთან?“ და სხ. სოფიო სირცხვილით იწურებოდა, სწყევლიდა ყველასა და ყველაფერს. არა ერთხელ და ორჯელ დაუპირებია გაქცევა და სოფელში წასვლა, მაგრამ, მოაგონდებოდა ხოლმე თუ არა ტიტველა და მშიერ-მწყურვალი შვილები, ისევ ლოდინს რჩეობდა... ერთის თთვის სამმართველოში სიარულმა წინანდელი მორცხვობა ჩამოაცალა. წინად თუ დიდის შავის მოსახვევებით პირი-სახეს იფარავდა, ეხლა თანდათან მშვენიერი შავი თვალწარბიც-კი გამოიჩინა. მნახველნი ეხლა უფრო აკვირდებოდნენ და არა ერთი და ორი სცდილობდა სოფიოს დაახლოვებას.

სოფიო გამოუცდელობით ერთს ტკბილად მოუბარს მიენდო... მიენდო გულ-უბრყვილოდ, იმ ემედით, რომ მხარს მომცემს, შემეშველება და მალე ვეღირსები ამ გულის გასაწყალებელ ლოდინისაგან თავის დაღწევასაო...

—

ღამის ათი საათია. სადგურზე ზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევანოვი, გუნია, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე და სხვანი. რეპერტუარში შემდეგი ახალი პიესებია: „ბორკილი“, „ღარიბი სასძლო“, „გაძარცული ფოსტა“, „ლუარსაბ აფაქიძე“, „ელიზა“, „ლანდი“, „ალლუმზე“ და სხვანი.

** თავად-აზნაურთა ბანკის თეატრი იჯარით ერთის წლით კვლავ ძველს მოიჯარადრეს ბ-ნს ფორკატტის დარჩა

** სომხურმა დრამატიულმა დასმა გუშინ დაიწყო წარმოდგენები. წარმოადგინეს დრამა „ეკატირინე ჰოვარდი“.

** რუსული დრამატიული დასი თავისს წარმოდგენებს კვირას, ამ თთვის 8-ს, დაიწყებს.

** ამ დღეებში ცხენის რკინის გზის დელეგატმა უსახელო საზოგადოებას მისწერა, რომ ვაგონებში ჯარის-კაცნი არ ჩასხათ ხოლმე, მინამ ტფილისის ახლოს დიდი ჯარი სდგასო, მაგრამ საზოგადოებამ დელეგატს უპასუხა, უფლება არა მაქვს, ჯარის-კაცებს ცხენის რკინის გზით სიარული ავუკრძალოვო.

** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე რკინის გზის კანტროლში და მრავალს სხვა დაწესებულებაში მსახურთა, მოხელეთა და უფროსთ ერთი წლის ვადით 1% გამოურიცხავენ ჯამაგირიდამ იმ დამშეულ გლეხთა სასარგებლოდ, რომელთაც რუსეთის ოცს გუბერნიაში ამ წელს პური არ მოუვიდათ.

** სოფ. კურდღელაური (თელავის მაზრა): 29 აგვისტოს გვეწვია ბ-ნი ინანაშვილი და ხალხს მილდიუზე ესაუბრა. ბ-ნმა ინანაშვილმა უჩვენა ხალხს ფქვილ-ნაცარასაგან (მილდიუსაგან) დასახიჩრებული ფოთლები და მშვენიერად დახატული სურათები და აუხსნა ამ ავადმყოფობის გავლენა ფოთოლზე. საუბრის შემდეგ ნაჩვენებ ფოთლებიასგან მოამზადა პრეპარატები და მიკროსკოპის ქვეშ უჩვენა ყველას ნაამბობი სოკო თავისის თესლებით.

ამისთანა საუბარმა და ახსნამ პრეპარატებით დიდი გავლენა იქონია ხალხზე. მსმენელებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ბ-ნს ინანაშვილს და სთხოვეს, რომ ნაცრის წამლობაზედაც გაემართა ბაასი. მომავალში ნაცარსა და ფილოქსერაზე იქნება საუბარი. ამას გარდა ბ-ნმა ინანაშვლმა აუხსნა ხალხს, თუ სოფელი რა რიგად უნდა დაიყოს უბან უბან, იყიდოს გუდები და თავთავისს დროზე უწამლოს ვაზსა. ეს აზრი სოფლელებს ძალიან მოეწონათ და იმედია, რომ ასრულებაშიაც მოიყვანენ ბ-ნ ინანაშვილს წინადადებას.

შესანიშნავი ამ საუბრის დროს ის იყო, რომ რამდენმამე იმერელმა, რომელნიც სოფელში თავადიშვილების ვენახებს აკეთებენ სანახევროდ და პირველში ნება არ მიეცათ ვენახების პატრონებისთვის მთელი ვენახების წამლობისა, ბ-ნ ინანაშვილის შემწეობით, დარწმუნდნენ, რა კარგი შედეგიც იქონია წამლობამ და თვითონაც აუხსნეს ხალხს თავისი შეცდომა და ურჩიეს, რომ წამლობა ვაზისა ძლიერ სასარგებლოაო.

ბ-ნი ინანაშვილი აპირობს, სხვა სოფლებშიაც გამართოს ამ გვარი საუბარი ხალხთან.

** ს. ბასკვიდამა გვწერენ, რომ ჩვენებური ორკლასიანი სასოფლო სასწავლებელი, რომელიც ყოვლად პატავცემულ ეპისკოპოს გაბრიელის მეოხებით არის დაარსებული და იმისავე ხარჯით ინახება დღემდე, სამინისტრო ორკლასიან ნორმალურ სასწავლებლად უნდა გადაკეთდესო. ეპისკოპოსს ამის შესახებ, სადაც ჯერ არს, თხოვნა წარუგზავნია და პასუხად მოსვლია, რომ ის 12 ათისი მანათი, რომელიც სკოლის სახელობაზე დღეს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში ინახება, სახელმწიფო ბანკში უნდა გადაიტანოთ და ამასთანავე სოფელმა უნდა იკისროს შენობის შეკეთებაო. ეპისკოპოსს ეს ამბავი მაზრის უფროსისათვის უცნობებია სოფლისათვის გამოსაცხადებლად. ამას წინად მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი ლაზარენკო ყოფილა ს. ბახვში, სოფლის ყრილობაზე გამოუცხადებია ზემოხსენებული ამბავი და განაჩენით სოფლისათვის დაუკისრებია შენობის შეკეთება, მასწავლებელთათვის საჭირო მოსამსახურის დაქირავება და შეშის მიცემა. განაჩენზე სულ სამოცს კაცს აქვს ჯერ ჯერობით მოწერილი ხელი. კორესპონდენტი იწერება, რომ იმედი გვაქვს, ამ სამოცს სხვაც მიეკედლება და ამ კეთილს საქმეს მცირე ოდენის ხარჯის გამო უქმად არ ჩაატარებენო.

** სოფ. შაქვიზკი (ზუგდიდის მაზრა): წარსულს ივლისში და აგვისტოში აქ ორჯელ ჩამოვარდა მეხი. ერთი დაეცა ცხენს და შუაზე გაწყვიტა. ეს ცხენი ყმაწვილს მიჰყავდა, მაგრამ იმას-კი არა დაჰშავებია-რა. მეორე დაეცა თივის ძირს და სულ ერთიანად გადიბუგა. თუმცა თივა სახლის ეზოში იდგა, მაგრამ სხვას არაფერს წაჰკიდებია ცეცხლი.

** სამეგრელო: არავის ახსოვს, რომ მთელის ზაფხულის განმავლობაში ასეთი გამუდმებული წვიმები ოდესმე ყოფილიყოს. სწორედ სული და გული შეგვიწუხა ზამთარსავით ჰინჭყლიანმა დღეებმა. წარსულს თთვეში რამდენჯერმე გვეწვია სეტყვა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ მხოლოდ ორსამს წამს გასტანდა ხოლმე, თორემ, თქვენი მტერი, ჩვენ დავიღუპებოდით. როგორც ამისთანა დღეებს სჩვევია, ამ ჟამად ჩვენში გამოულეველია სხვადასხვა ავადმყოფობა, თუმცა ზარალი-კი არა მოაქვს-რა. უფრო გავრცელებულია ციებ-ცხელება და მრავალია ლოგინად ჩავარდნილი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. მეჯრუხევი. 4 აგვისტო. 1 ენკენისთთვეს აქ შემდეგი უბედურება მოხდა. დილის თერთმეტს საათზედ აქაური მცხოვრებელი, თხუთმეტის წლის ყრუ-მუნჯი, ნიკო იოსების ძე სოყრაშვილი, მოდიოდა მეჯრუხევის გზაზედ თავისს დასთან. გზად ჩაიარა აქაურის მკვიდრის გიორგი თულაშვილის ვენახის გვერდზე. ვენახში ლობესთან იდგა თულაშვილის მოსამსახურე, ივრეთელი ოსი, ცამეტ-თოთხმეტის წლის ბიჭი, დათა გურჯის ძე დუდაშვილი. დუდაშვილს საფანტით გატენილი თოფი ეჭირა ხელში და, როგორც ამბობენ, გზაზედ გამვლელ-გამომვლელს უღერებდაო. სხვათა შორის, მუნჯსაც ანიშნა, მომიცადეო, და დაიწყეს ერთმანეთში თამაშობა და თოფის წვალება. მუნჯმა ანიშნა ოსს, რომ ლობიდგან თოფი გადმოეწოდებინა. ოსმა გადააწოდა. მუნჯმა დაუწყო თოფს წვალება, ხან საით გაიშვერდა, ხან საით. ბოლოს ისევ დაუბრუნა პატრონს. ოსმა, როგორც ზოგი ამბობს, გამოართვა თოფი და უთხრა, ეგრეკი არ უნდა თოფის ხმარება, აი ესე უნდაო და მართლა, თუ ხუმრობით, მიუშვირა თოფი. მუნჯმა ანიშნა თურმე, რომ თოფი იქით წაეღო და მარცხენა ხელი მიიფარა თვალებზედ, მაგრამ გავარდა თოფი და საფანტი მოხვდა მარცხენა წარბსა და მიფარებულს ხელში. მუნჯი უგრძნობლად დაეცა, ოსი-კი გაიქცა. მიიყვანეს თუ არა თითქმის მკვდარი ბავშვი სახლში, ახლა დედას შეუწუხდა გული და სამის საათის განმავლობაში მკვდარივით იდო გამოურკვეველი. გაიგო მამამ და ღრიალითა და თავში ცემით მოვარდა სოფლიდამ. თურმე ოსის ბიჭი დაუდევარი ყოფილიყო და თულაშვილს შესჩივლა საბრალო მამამ, აკი მოგახსენე, ნუ გყავს ეგ ბიჭი სახლში, თორემ ხიფათს მისცემს ვისმეო. მუნჯი შინაურმა ექიმმა გასინჯა და სთქვა, რომ საფანტი, თითქმის ციდამდე წასულა თავში და მორჩენა საეჭვოაო.

აგერ ორი კვირაა, მუცელა გაჩნდა და ბავშვებს ედება. ბევრი მათგანი იხოცება. ამ ჭირს სხვა ჭირიც დაემატა. 2 ამ თთვეს საშინელი თქეში იყო და თქეშს უარესი სეტყვა მოჰყვა. თვით მეჯრუხევს ასცდა და სეტყვა მეჯრუხევის სიახლოვეს მთაზედ დაცვივდა. სამაგიეროდ სოფელი აძვი და ჯარიაშენი საშინლად დასეტყვა. მეტადრე ჯარიაშენი ისეთნაირად დასეტყვა, რომ მისი გამობრუნება თითქმის საეჭვოდაც აქვთ. ნახევარ საათის განმავლობაში მთელი სოფელი, მინდორი და ვენახები კოჭზედ იყო სეტყვით მოფენილი, თითქოს იანვრის თოვლიაო. ერთნაირად დარეგვა ხეხილი, ვაზი და სიმინდი. ძნებს ძირამდის გავარდა წყალი, მოსკდა უცებ საშინელი ნიაღვრები, გარეცხა კალოები და, ვისაც ძნა ჰქონდა ჩაშლილი, წალეკა; ასტყდა საშინელი ყიჟინა და საზოგადო ჟრიამული: საქონელი ბღაოდა, შეშინებულს ფრინველებს ჟივილ-ხივილი გაჰქონდა, ხალხი თავისს უბედურებას ხმა მაღლა ტიროდა, გუთნის ხარი დაგიჟდა და გუთანი მოიტაცა, მეხრეები ძლივს იფარავდნენ თავს კამეჩების ქვეშ, გაგიჟებული მინდვრის საქონელი გამორბოდა შინ, მწყემსებს თავი მიენებებინათ თავის საქონლისთვის და სადღაც მიუჟუჟულიყვნენ თავის დასაფარად... ერთის სიტყვით, საშინელი და ძნელად ასაწერი სურათი იყო...

ბოლოს ერთი სასიამოვნო ამბავიც უნდა მოვახსენო მკითხველებს. მათი ყოვლად უსამღვდელოესობა, ეპისკოპოსი გორისა, ალექსანდრე სოფ. არბოდან, სადაც ადგილობრივი ეკლესია აკურთხა, სოფ. იკორთას მიბრძანდა იკორთის ეკლესიის დასათვალიერებლად. ეკლესიის განახლებისათვის კომიტეტია შემდგარი, რომლის თავმჯდომარეთ ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე ბრძანდება. ნახვის შემდეგ მეჯრუხევში მობრძანდა, ღამის ცხრა საათზედ. მეორე დღეს ადგილობრივი ეკლესიები დაათვალიერა და შემდეგ სკოლაში შებრძანდა. აქ ყმაწვილები გამოსცადა, ზოგს წააკითხა, ზოგი აგალობა და ამღერა, ზოგს ნაწერი გაუსინჯა. საზოგადოდ მოეწონა და ესიამოვნა. ბოლოს ბავშვებს და იქ მდგომს ხალხს დარიგება მისცა სწავლა-ცოდნის შესახებ. ხალხს და შეგირდობას ძლიერ გაუხარდა, რომ ტკბილად ესაუბრებოდა მათი მეუფება. შემდეგ ადგილობრივი თავადიშვილები ინახულა, რომელთაც, მისის მეუფების თხოვნით, ძველთა ნაშთთა განახლებისათვის იკორთის ეკლესია ორას თუმნამდე შესწირეს.

მეჯრუხეველი

## ლოთობა

დასავლეთს ევროპაში *)

მეცნიერების მხრივ თანდათან წინ მიდის განათლებული კაცობრიობა. ეხლა, როდესაც ადამიანი მიჰპარვია ბუნების საიდუმლოს და ჰლამის ნახევარ-ღმერთად გადაქცევას, იმ ნახევარ-ღმერთად, რომელსაც შეუძლიან, ფერფლიდგანაც-კი დიდ-ძალი ნივთი და სანოვაგე აღადგინოს, აი სწორედ ამ დროს თვით მასვე დაღუპვას უქადის მის მიერ გამონაგონი და აღმონაჩენი და იმისს სიცოცხლეს ფერფლშივე ჰღრღნის და აფუქსავატებს. ეს გამონაგონია ალკოჰოლი, თამბაქო, თრიაქი და სხვ. როგორც ტარტაროზები, ისე დასცემიან ესენი ადამიანს და შთანთქმას უქადიან. ალკოჰოლი მოგონილია, წარმოიდგინეთ, ექიმის (რათმუნდ ლულიის) მიერ და თამბაქო ბერის მიერ. ნუ თუ ბედის

*) ეს საყურადღებო წერილი დაბეჭდილია გაზ. „Недѣля“-ს მე-27 №-ში.

მობმულ სოფლის ეკლესიის დღეობაა. ეკლესიის ირგვლივ მინდორზე აუარებელს მლოცველს მოუყრია თავი. ყველას თავის ურმის გვერდზე ცეცხლი გაუჩაღებია. ცეცხლის მახლობლად ხალიჩა-ფარდაგებზე ჩამომწკრიებულან და ვახშამს შეექცევიან. „დალიე-დამალევინე“-სი, „მრავალჟამიერი“-სა და, თუ მასპინძელი არ ლხინობს“-ისაგან ყურთა სმენა აღარ არის.

აგერ, ცოტა გაშორებით დუდუკი ტკბილად დაჰლულუნებს. იქ, იმ სოფელ-მიდამოს კეთილშობილთ ერთად მოუყრიათ თავი და დუდუკით ვახშამს შეექცევიან. ყველა ლხინობს, მხოლოდ სადგურზე მოსამსახურეთათვის ლხინი-ვახშამი—კალამი და ქაღალდია და დუდუკ-სიმღერა — ორთქლმავალის ყურის დამაყრუებელი კივილი და სადგურის ზარის წკარუნი.

ტიტია აგერ მეხუთე წელიწადია, რაც ამ სადგურზე მსახურებს... ხუთი წელიწადია მოკლებულია ყოველგვარ დღეობის დროს გატარებას, ერთგულობს, რა არის, იქნება მეც მეღირსოს ქვეყანაში გარევა და მყუდრო ოჯახის შეძენაო. ტიტია სადგურის ბაქანის ბოლოსა ზის და აქედგან გაჰყურებს ეკლესიის აჭრელებულს მიდამოსა და ღვინით შეხურებულ მლოცავთა ქეიფს.

ტიტია თავისდა უნებურად დაღონდა... რაღაც ჩასწყდა გულში და ის ის იყო, ცოტას გაწყდა, თვალებიდამაც ცრემლი არ ჩამოსქდა.

— ტიტია სად არის?..

ამ ხმამ გამოარკვია ტიტია. ფიცხლავ ზეზე წამოდგა და გაექანა სადგურისაკენ. სადგურზე თავისი ტოლი და მეზობელი სოფრონი შეხვდა. სალამის უმალ სოფრონმა წამოაყვედრა:

— კაცო, რამდენი ხანია გეძებ, სად იყავი?

— სად უნდა ვყოფილიყავ, აგერ იქ ვიჯექ.

— კარგი! აბა ტიტი, გვეწვიე. ჩვენები ეკლესიას არიან და შენს დასაპატიჟებლად გამომგზავნეს.

ტიტიამ მწარედ ჩაიცინა და თავი გაიქნია.

— გმადლობთ, სადა მცალიან დროს სატარებლად. დღეს მორიგადა ვარ სადგურზე, გათენებამდე აქ უნდა ვიყო და დილაზე სადგური უნდა დავასუფთავო.

— კაცო, არავინ არის და ან ამხანაგი არა გყავს?... ამაღამ ის იყოს და ხვალ შენ გასწიე იმისი მაგიერობა.

— არის-კი, მაგრამ ეხლა იმას ვინა ჰნახავს! მგონი ისე სძინავს, რომ ზარბაზნითაც ვერ გააღვიძებ. თუნდა ესეც არ იყოს, უფროსი როდი მომცემს ნებას. მერე იცის, რომ მე ვარ დღეს მორიგად.

— კაცო, რა იქნება, რომ თითონ უფროსსაც სთხოვო, განა ნებას არ მოგცემს?...

— აი, ვცდი. ტიტია გამოტრიალდა და შევიდა უფროსთან... სადგურის უფროსი სამუშაო მაგიდასთან იჯდა და რაღაცას სწერდა. ტიტია შორი-ახლო დადგა. კარგა ლოდინს შემდეგ სადგურის უფროსმა შენიშნა ტიტია და კითხა:

— რა გინდა?

ტიტიამ აუხსნა მისვლის მიზეზი და სთხოვა, ამაღამ დამითხოვეო.

— არ შეიძლება! უფროსმა კვლავ მუშაობა დაიწყო. ტიტია კარგად იცნობდა უფროს, —თხოვნის გამეორება და იმის გაბრაზება ერთი იყო, და თავჩაღუნული გამოვიდა გარედ. ბაქანზედ სოფრონი ელოდებოდა.

— რა ჰქენ, ტიტი!

— აკი გითხარ! არ დამითხოვა.

— მაგის... კარგი-კი იქნებოდა, რომ წამოსულიყავ-და...

სოფრონი გამოეთხოვა და გაეშურა ეკლესიისაკენ. ტიტია ეხლა უფრო დაძმარდა, გაჰყურებდა მხიარულად მიმავალს სოფრონს და გული ნაღვლით ევსებოდა, რომ თითონ ამ ბედნიერს ღამეს ბუსავით უნდა მჯდარიყო ბაქანზედ და ელოდდნა უფროსის ბრძანებისათვის.

— რას იზამ! სამსახურია! ინუგეგეშებდა თავს დაღონებული ტიტია: მაგრამ როდემდის... როდემდის უნდა ვიყო ასე მოკლებული ტოლ-ამხანაგებსა და ნათესავებს. აგერ ხუთი წელიწადი სრულდება, რაც აქა ვარ... დღე მუდამ შრომასა და ღამის თევაში... ჩვენთვის არც უქმეა და არც ბედნიერი დღე... ნუ თუ ყველა სამსახურში ასეა!... მაშ რაღად არის დღესასწაული დღეები... თუ მეღირსა... იქნება მაშინ ცოტა ხელ-ფეხი გამეხსნას...

ტიტიას ღიმილი მოუვიდა. უფროსი ჰპირდებოდა კანდუქტორობას და ამ იმედმა ცოტა არ იყოს, გულს

დასაცილი არ არის! როცა XIII საუკ. წმინდა, წყალ-შეურეველის სპირტის გაკეთება შეიძლეს, ყველას ეს დიდს საქმედ ეჩვენა და არაყს „უკვდავების წყალი“ დაარქვეს (aqua vita). ეს უკვდავების წყალი-კი მეტად მომაკვდინებელი აღმოჩნდა, რადგან სწორედ სიკვდილის ფერი დასდო მთელს ქრისტეს მორწმუნე განათლებულს ერს (საკვირველია, რომ ებრაელები, მაჰმადიანები და ჩინელები დიდად ფხიზლად ინახავენ თავს).

ალკოჰოლიზმი განსაკუთრებით ევროპის ნაშობია და ამ ახალის ისტორიის განმავლობაშია შექმნილი. სწორედ თავისს დიდს უეცობას ამტკიცებენ ისინი, რომელნიც სიმთვრალის შესაწყნარებლად მამათმთავარს ნოეს ასახელებენ და ამბობენ, რომ სიმთვრალე, ლოთობა ბუნების კანონიაო. ძველად სიმთვრალე მხოლოდ მაშინ იდგამდა ფეხს, როდესაც სახელმწიფო და ცივილიზაცია დედამიწასთან იყო გასწორებული (ასე იყო ასირიასა და ბაბილონში, სპარსეთს, ეგვიპტესა და რომში); ესეც არ იყოს, ძველად წმინდა ალკოჰოლი არ იპოვებოდა, ისეთს ღვინოსა სვამდნენ, რომელშიაც $15^{0}/_{0}$ მეტი სპირტი არ ერია. ძველად ღვინო თავისის სიმაგრით ეხლანდელს ლუდს არაფრით აღემატებოდა და კიდევაც ამას მიეწერება ის დარჩენილი ამბავი, რომ ადამიანის სიგრძე ყანწებითა და უშველებელის თასებითა სვამდნენო. ეხლანდელი არაყი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ძველისაზედ ერთიოთხად უფრო მაგარია (შიგ $40^{0}/_{0}$—$60^{0}/_{0}$ წმინდა სპირტი ურევია) და საწამლავსავითა ჰმოქმედებს. დასასრულ, ლოთობა ძველად მხოლოდ კეთილშობილებს შეეძლოთ, ხალხი-კი ფხიზლად ინახავდა თავს, რადგანაც შეძლება მხოლოდ წყლის სმის ნებას აძლევდა. ეხლა-კი, ღვინისა და არაყის გამოხდა-კეთების განვითარების წყალობით, არამც თუ ადვილად სასმელი ლუდი და წყალ-წყალა ღვინო, არამედ არაყიც-კი—ეს საწამლავი საყოველთაოდ ადვილი შესაძენი შეიქნა და თვით უმდაბლესს წოდებაშიაც-კი გავრცელდა.

საერთო ლოთობა მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი, როდესაც წყალ-შეურეველის, წმინდა სპირტის კეთება შეიძლეს. პირველს ორს წელიწადს სპირტის მოგონებისას, როცა გენუელებს საიდუმლოდა ჰქონდათ შენახული, ძალიან ძვირად იყიდებოდა, წვეთ-წვეთობით და მხოლოდ წამლადა ჰხმარობდნენ. ამას შემდეგ-კი ეს გადამდები სნეულება მთელს ევროპას მოედო. ჯერ მე-XVI საუკ. ბევრგან მძვინვარებდა სიმთვრალე და ლოთობა და გერმანიაში განსაკუთრებული ლოთობის ორდენებიც-კი დაწესდა. „ჩვენ, გერმანელებს, ღვინისთვის გვინაცვალებია ჩვენი ქონებაცა, ჩვენი კარგად-მყოფობაცა და საიქიოს ბედნიერების იმედიცაო“, ამბობდა მელანხტონი და ლიუტერი ხომ გერმანელ ტარტაროზად ერთს ტიკს ღვინოსა სთვლიდა. ძნელად სათქმელი და გამოსაანგარიშებელია, თუ რა დიდ-ძალი ფული დაუჯდა ევროპას სიმთვრალე და ლოთობა. ამ ბოლოს დროს სცდილობენ კიდეც, გამოიანგარიშონ ლოთობის ზარალი.

მინისტრის ანგარიშით, ამერიკაში ათის წლის განმავლობაში (1860—1870 წწ.) 6 მილიარდამდე ფული შეუწირავს ლოთობას და 300,000 კაცის სიცოცხლე; ამასთანავე ლოთობის წყალობით 100,000 ყმაწვილი თავ-შესაფარში შესულა და 150,000 სრულ-წლოვანი ციხეებში დაუპატიმრებიათ. ათის წლის განმავლობაში სიმთვრალის გამოისობით 2,000 ადამიანს მოუკლავს თავი, 20,000 დედაკაცი დაქვრივებულა და ერთ მილიონამდე ყმაწვილი დაობლებულა. ინგლისში, ჰოილიასი, ვილიამისა და სხ. ანგარიშით, ყოველ წლივ მუშაკაცთა სიმთვრალის გამო ორ მილიადრამდე უბრალოდ ილუპება. ჯერ მარტო პური იმდენი იხარჯება არაყის გამოხდისათვის, რომ მესამედი მაინც მიდის საერთო რიცხვისა, რაც მთელს ქვეყანას სჭირდება. ინგლისში სიმთვთალესა და ლოთობაზედ ერთი ათად მეტი იხარჯება, ვიდრე ეკკლესიებსა და საერო განათლებაზედ. $^{3}/_{4}$ გლახაკთა (ე. ი. 3 მილიონამდე კაცი), $^{3}/_{5}$ ჭკუათა არ-მყოფელთა და $^{3}/_{4}$ ავაზაკთა სიმთვრალის გამო გაუბედურებულა. დაახლოვებით თითქმის ასევეა ბელგიასა, ჰოლანდიასა, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებშიაც. გერმანიაში გამოიძიეს, გამოჰკითხეს 32,000 ტუსაღს 120 საპატიმროში და აღმოჩნდა, რომ $63^{0}/_{0}$ მკვლელობათა, $74^{0}/_{0}$ დამტვრევა-დამსხვრევისა, $63^{0}/_{0}$ ჭრილობათა, $77^{0}/_{0}$ უზნეო საქციელისა, $54^{0}/_{0}$ შინაურ უთანხმოებისა და სხ. მიზეზი სიმთვრალე ყოფილა.

გამოკვლეულია, რომ სიმთვრალე არამც თუ მარტო სხეულს უუძლურებს ადამიანს, არამედ ეს დაუძლურება მემკვიდრეობითაც გადადის მოდგმაზედ და მეხუთე თაობამდე მთელს გვარეულობას ამახინჯებს და ადუხჰირებს ხორციელადაცა და სულიერადაც. ლოთის კაცის შთამომავალი ან ლოთივეა ($60^{0}/_{0}$) ან ჭკუაზედ შეშლილი და ან უზნეო, გარყვნილი... ლოთის იუკეს შთამომავლობაში 75 წლის განმავლობაში 200 ქურდი და კაცის მკვლელი დაიბადა, 288 მახინჯი და 90 უნამუსო ქალიო. ამისთანა მაგალითი სხვაც ბევრი მოიძებნება. თუ „მეცნიერებით აღუჭურველი“ ადამიანი ყოველსავე ბოროტს სიმთვრალისას ვერა ჰხედავს და ისეთ დიდ ნაკლად არა სთვლის, სამაგიეროდ გონიერსა და გაგებულს ადამიანს კარგადა აქვს შეგნებული, რა შედეგიც მოსდევს სიმთვრალეს, და სწორედ გული და სული უღონდება. კობდენი, მაგალითებრ, იმ აზრისაა, რომ სოციალურ და საპოლიტიკო ცვლილებათა შორის პირველი ადგილი სიმთვრალეს უნდა დაეთმოს და ჯერ ამ წყლულს უნდა გამოეძებნოს წამალიო. გლადსტონი (1880 წ.) ამბობს, რომ „სიმთვრალეს უფრო მეტი ზარალი მოაქვს, ვიდრე სიმშილობასა, სისხლის-მღვრელს ომსა და ჟამსაო“. პროფესორი ფორელი თავისს ლექციებში ალკოჰოლსა და მის მიერ გამოწვეულს ჰლექს კაცობრიობის უმთავრეს ღვთის რისხვას უწოდებს და პროფესორი ბუნგეკი ამტკიცებს, რომ „ალკოჰოლი მთელს მოდგმას, ერს, გონებას უსუსტებს, ზნეობრივს იდეალს უხშობს და დიდად აბრკოლებს კაცობრიობის წინ-სვლასაო“. ამისთანა აზრი არა ერთი და ორი გამოუთქვამთ გამოჩენილს მეცნიერებს.

დანარჩენი შემდეგ.

## წვრილი ამბავი

პროფესორმა იურაშეკმა ესლახან დაბეჭდა სასტატისტიკო ცნობანი 1891—92 წ., და სხვათა შორის ცნობანი იმის შესახებაც, თუ 1890 წლის დამლევსა და 1891 წ. დასაწყისს რამდენი მცხოვრები იყო ევროპის ზოგიერთს სახელმწიფოსა, ინდოეთსა და ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებში. როგორც ამ ცნობებიდგან სჩანს, საზოგადოდ მთელს დედამიწაზე ხალხი ძლიერ მოჭმატებია ერთს წელიწადში: 1890 წელს მთელს დედამიწაზე სულ 1.515,8 მილიონი სული ყოფილა, ხოლო ამ ჟამად-კი არის 1.554,5 მილიონი. აქედგან ევროპაში სცხოვრობს 358,2 მილიონი; აზიაში—863 მილიონი; აფრიკაში—206,1 მილიონი; ამერიკაში—124,5 მილიონი; პოლინეზიაში (ავსტრალიაში)—5,3 მილიონი და 80,000-ც ჩრდილო და სამხრეთს ყინულიანს ქვეყნებში.

— ინგლისელებმა სწორედ კარგი ოსტატობა და ხერხი მოიგონეს ხალხისთვის სხვა-და-სხვა აზრის საქადაგებლადა და ჩასაგონებლად. ერთის კაცის თაოსნობით მზადდება ფონოგრამმები, რომელიც გაიმეორებს გლადსტონის მიერ წარმოთქმულს უკეთესს სიტყვებს. მსურველს შეეძლება ორი კაპეიკი გაიღოს და რომელს ქუჩაზედა და ადგილზედაც უნდა, იქ მოისმინოს გლადსტონის სიტყვა. ამ მანქანისავე შემწეობით გლადსტონს შეეძლება ერთსა და იმავე დროს რამდენსამე ადგილას წარმოსთქვას სიტყვა. ფონოგრამმის შემწეობით ამ გამოჩენილის კაცის სიტყვა და მჭევრ-მეტყველობა ყოველგან გაისმება და ლიბერალთა დასი ადვილად მოჰფენს თავისს აზრს ხალხში.

— თითქმის მთელი ჩრდილო იტალია გაათოხრა ძლიერმა გრიგალმა. მილანის მიდამოებში, მონცასა და ჩეკკას შუა სეტყვამ მთელი მოსავალი გაანადგურა და მეფის ბაღში, მონცაში, ასს სულზე მეტი ნადირი მოჰკლა.

ვილიკარტოს ახლო, რამდენსამე ათს ვერსზე, ყოველ მხრივ, რაც-კი რამ მცენარე იყო, [illegible] განგებოდ მოუმკიათ ან გაუთიბნიათო. ფრინველი ათასობით დახოცა სეტყვამ. ზოგი მარცვალი სეტყვისა სწორედ მუშტის ოდენა იყო.

საშინლად დააზიანა გრიგალმა აგრეთვე მიდამოები პარმისა, კომოს ტბისა, მთელი პიემონტი და ბრიანცა. კასტელფრანკოსა და ტრევიზში ვენახები დაზიანდა. ტურინის მახლობლად მცხოვრებლებს სულ ერთიან ხელიდგან გამოეცალათ საჩრო და საზრდებელი. შინაური ფრინველი 4,000 სულზე მეტი დაიხოცა.

— ინგლისელი მცოდნე ელექტრონის საქმისა, პროფესორი ოლივერ ლოდჟონი, როდესაც ამას წინად თავისს მოხსენებას კითხულობდა ბრიტანიის საზოგადოებაში, სხვათა შორის შეეხო ერთს ფრიად საყურადღებო საგანს, შეიძლება თუ არა ერთის კაცისაგან მეორე კაცს აზრი გადაეცესო. „მომეტებული ნაწილი სწავლულებისა ზიზღით უყურებს ამ საგანსაო—სთქვა პროფესორმა—და რადაც სისულელედ მიაჩნიათ. შესაძლებელია განა ერთის კაცისაგან გადავიდეს აზრი მეორეზედ იმ სახით და იმ გვარად, რაც ჩვენ აქამდე არც ვიცით და და არც რამე აზრი გვაქვს მასზე შედგენილი? მე ვამბობ, შეიძლებ-მეთქი. მე ვნახე ჩემის თვალითა და დავრწმუნდი, რომ შესაძლებელი ყოფილა ეს საქმე. სხვამაც ბევრმა იცის, რომ ეს მართალი ამბავია. მაშ მოკრძალებითა და თითქმის დარცხვენილნი რათა ვლაპარაკობთ ხოლმე ამ საგანზე? აზრის გარდაცემა ერთის კაცისაგან მეორესთვის შეიძლება ანდამანტის ძალის გარდაცემას დავამსგავსოთ და შევადაროთ, ხოლო ანდამანტის ძალა ხომ თითქმის უსაზღვრო მანძილზედაც სჭრის. ზოგნი ამბობენ, მართალია აზრის გარდაცემა არის, მაგრამ მხოლოდ განუვითარებელსა და დაბალს ცხოველებშიო და თუ ტვინი განვითარდა, მაშინ-კი ეს საქმე აღარ შეიძლებაო. ეს ხომ ესრეა, მაგრამ შეიძლება ამ გვარი ღონე აზრის გარდაცემისა უკეთეს და უმაღლეს აზრის გადასაცემ იარაღად გამოვიყენოთ, ვიდრე ის იარაღია, რომელსაც ამ ჟამად ვხმარობთო. აქნობამდე ეს საგანი გამოუკვლეველია. უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ ყოველი დაბრკოლება მოისპობა და უფრო კარგად გარკვევით შევიცნობთ ბუნების ერთობას, რაზედაც ფილოსოფოსნიც ოცნებობდნენო“.

## წერილი რედაქციის მიმართ

სიღნაღის ქართულ წიგნების მაღაზიამ შეაგროვა ხელის მოწერით, განსვენებულის პოეტის თ. ნ. ბარათაშვილის ფონდის სასარგებლოთ 19 მ. 23 კ. გიგზავნით ამ ფულს და ამასთან შემომწირველთა სიასაც.

დეკანოზი სვიმონ იოსების ძე ზვგიევი—1 მ., ვ. ტ. ძე ბაღაშვილი—1 მ., ი. ზ. ხიმშიაშვილი—1 მ., მღვ. ი. იაშვილი—1 მ., მღვ. აბრამ ბალაევი—1 მ., თ. ივანე ვახნაძე—1 მ., თ. ილია გ. თუმანოვი—1 მ., თ. მის. სიმონის ძე ანდრონიკაშვილი—1 მ., ა. გ. მაჭავარიანი—1 მ., ესტატე ანანიევი—1 მ., ნ. მ. ლაშიაშვილი—60 კ., მღ. ზაქ. შინჯიევი—60 კ., მთ. დიაკონი რაფიელ დარჩიევი—50 კ., დეკანოზის მეუღლე ნინა ზვგიევისა—50., ი. ი. მენთეშა-

---

მოუშვა. უცებ პატარა ზარის წკარუნი მოესმა და უფროსთან შევიდა.

ტიტი! წადი დღეობაში, მხოლოდ ორს საათზე მეტი არ დარჩე. ტიტიამ თავი დაუკრა უფროსს და საჩქაროდ გამოვიდა გარედ. ფიცხლავ გაექანა თავის ოთახისაკენ, გაიძრო სამუშაო ტანისამოსი,—მოიკაზმა კოპწიად, ჩერქეზულად და ეკკლესიისაკენ გასწია. მიდიოდა და მიჰფრინავდა. მალე იპოვა სოფრანას ბინა.

აქ ორი ოჯახი ერთად შეყრილიყო და საერთო ვახშამი გაემართათ. ყველანი იცნობდნენ ტიტიას და იმის დანახვაზე ყველამ ერთხმად მიაძახა: „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!“ ტიტიამ ერთობლივ ყველას სალამი მისცა და იქვე სოფრონას გვერდით მოუჯდა. ხანში შესულმა თედომ, სუფრის თამადამ, ახლად მისულს დანაკლისის შესავსებად კარგა მოზრდილი აზარფეშა მიაწოდა. აზარფეშას ჩვეულებრივი პატარა ჩარექები მოჰყვა. ტიტიას შუბლი მალე შეუხურდა. ტიტიას პირდაპირ თედოს უფროსი ქალი, 18 წლის სოფიო, იჯდა. სოფიო სადღეობოდ კოხტა ჩითის კაბაში იყო გამოკანკლული. პირველში ტიტიამ ყურადღება არ მიაქცია. სოფიოს სადღეგრძელო როცა უნდა დაელია, მაშინ-კი როგორღაც დააკვირდა და სახე ღიმილით შეემოსა. სოფიომ მორცხვად თავი დაუკრა სადღეგრძელოსთვის და ლოყების თავი წამოუწითლდა... ტიტია რაც დრო გადიოდა და ჩარექებს სცლიდა, მით უფრო ჰკვირდებოდა სოფიოს. აგერ ქალები წამოიშალნენ. გაიმართა დაირა-მუსიკა.

— ჩვენც ვითამაშოთ, ქალებმა უნდა გვაჯობონო! წამოიძახა სოფრონმა, წამოხტა და თავისებურად მოხდენით დაუარა ლეკური. სოფრონის თამაშობაზე ტაშიც გაჩაღდა. სოფრონი ტიტიას ზურგთან-დადგა, ყველას თავი დაუკრა მადლობის ნიშნად, თვალის დახამხამებაზე მხრებში ხელი დასტაცა ტიტიას და წამოაყენა. ტიტია წელში გასწორდა და გაუსო. თანდათან ეშხში შევიდა და რაც-კი შეეძლო, სცდილობდა მოხდენით ეთამაშნა. სოფიო ქვეშ-ქვეშ შეჰყურებდა. ტიტია ხომ ზეზელ ქორსავით თვალებითა სჭამდა სოფიოს. წრის შუა გულს ბზრიალასავით შემოტრიალდა ტიტია და შედგა.

— თამადავ, ეხლა-კი გთხოვ დამითხოვო.

— რას ბოდავ, დაჯექი! მიაძახა ყველამ.

— არ შემიძლიან, ღმერთმანი, უამისოდაც დამიგვიანდა.

— არ შეიძლება. სოფრონმა სტაცა ჩოხის კალთაზე და ძალად დასვა.

— ხომ დავიგვიანე, მაგრამ ჯანი და სული წაუვიდეს, რაც იქნება, იქნება.

კვლავ ღვინის სმას მიჰყვეს ხელი.

— ბიჭო, სად იყურები! დალიე, ეს ჩარექა გაკლიაო, წაჰკრა მუჯლუგუნი ტიტიას სოფრონმა. ტიტია გაშტერებული გაჰყურებდა წყნარად მოცეკვავე სოფიოს. სოფიოს თამაშობამ სულ დაავიწყა ღვინოცა, ლხინიც და იქ მყოფნიც. მუჯლუგუნმა ცოტა გამოარკვია, მოტრიალდა, ჩამოართვა ჩარექა და თვალის დახამხამებაზე გადაჰკრა.

— ეგ კარგი, მაგრამ, სოფრონ, ერთი ეს მითხარი, ის ქალი ვისი შვილია?

— ვისია, შე ოხერო, ვეღარ იცან? ჩვენებიანთ თევდორესია.

— ჩვენის თამადისა? საიდგან-ღა მეცნობება, ხუთი წელიწადია სოფელში არა ვყოფილვარ.

— მერე რად იკითხე?

— ისე.

— რას მიმალავ? მოგეწონა? კარგი გოგოა, ღმერთმანი!

— კარგია! ღმერთმა პატრონს უცოცხლოს.

— რას ეჩურჩულები, რადროს ლაპარაკია? აქ მიგდეთ ყური: სოფრონ, ღმერთმა აცოცხლოს ტიტიას საბედო, შემოსძახა თამადამ, თითქოს, იმათი ლაპარაკი გაიგონაო. ალავერდი შენთან, სოფრონ.

— შეგეწიოს... ღმერთმა აცოცხლოს ტიტი შენი საბედო, დასძახა სოფრონმა და ჩურჩულით დაუმატა—სოფიო.

ისედაც ღვინისაგან გაწითლებული ტიტია უფრო გაჭარხლდა და გულმა სიამოვნებით დაუწყო ცემა.-.

განთიადი მოახლოვებული იყო; როცა მოლხინენი მოსვენებას მიეცნენ. ტიტია სადგურზე წამოვიდა, წელ-მოწყვეტილი მოდიოდა ტიტია, ფეხები უკანა რჩებოდა და რაც უფრო უახლოვდებოდა სადგურს, მით უფრო უძმარდებოდა გული. სული იქ სოფიოსთან დარჩა და ცალიერი ლეშსლა მოათრევდა...

ი. კახელი

(დასასრული იქნება)

შვილი—50., ი. დ. შავლიაშვილი—50 კ. № ი. № ო. შვილი—50 კ., ა. დ. ჩახნავაი—50 კ., ვასილ ნაცვალოვი—40 კ., პავლე იაშვილი—40 კ., მ. ზალდასტანოვი—30 კ. აზრამ ნასიძე—30 კ., ვისილ სიმონის ძე ზუგიევი—30 კ. კ. მაყაშვილი—30 კ. სიმონ გიორგის ძე მაჭავარიანი—20 კ., чиновникъ почтово-телеграфной конторы Владимиръ Джаноковъ 20 კ., ვ. ჯაფარიძე—20 კ. А. Егiазаровъ—20 კ., ტ. კვალიევი—20 კ. ს. მატატაშვილი—20 კ., ა. ი. გომელაური—20 კ., ა. თ. გოგინაშვილი—20 კ., И. Шевченко—20 კ., თ. იასეს ძე გოდერძიშვილი—20 კ., ნ. მაჭავარიანი—20 კ., მიხ. იარალოვი—20 კ., მ. ჯაჭვაძე—15 კ., Г. Д. загушели—10 კ., ნინა მაჭავარიანისა—10 კ., ნენე მჭედლიშვილისა—10 კ., ნინა ივ. შავლიევისა—10 კ., Т. Шевченко—8 კ. სულ—19 მ., 23 კ., ოცდასამი კაპეიკი გამოგზავნას მოვახმარეთ და გაგზავნით 19 მ.

ი. შლიევი
ა. მაჭავარიანი

ქ. სიღნაღი

## დეპეშა

5 სექტემბერი

**ნოვოჩერკასკი.** დონის ვენახებს კარგად ასხია; მოსალოდნელია, რომ ღვინოც კარგა მოვა.

**სიმბირსკი.** აღკრძალულ იქმნა გატანა შვრიისა სიმბირსკის გუბერნიიდამ, რათა ერობამ შესძლოს და იყიდოს საკმაოდ შვრია.

**ვალპარაიზო.** ბალმასედა, რომელიც დღემდე იმალებოდა ვალპარაიზოში, გაიქცა და თავი შეაფარა ამერიკის სამხედრო გემს. გზა-გზა თავი მოიმთვრალა და მატროსის ტანისამოსი თურმე ეცვა. ამერიკის გემის ადმირალს გაეგზავნა ბალმასედისთვის ეს ტანისამოსი. ეხლა ბალმასედი კალაოს გზაზეა. ყოველმავე ამან ჩილის მთავრობა ძალიან გააგულისა.

**ტიან-ძინი.** უცხო ქვეყნების ელჩებმა პეკინში წარუდგინეს ქაღალდები ჩინეთის მთავრობას და სთხოვეს, სასტიკი ყურადღება მიაქციეთ ამ ბოლოს დროს მომხდარს უწესოებასაო. იმედოვნებენ, რომ ის სახელმწიფონი, რომელთა ინტერესებიც დარღვეულ იქმნა ამ უწესოებით, დემონსტრაციას მოახდენ ჩრდილოეთის ნაპირებისაკენ ზღვაზედაო. ჩინეთის მთავრობა უგზავნის შუა-გულ პროვინციების გუბერნატორებს ინსტრუქციებს იმის შესახებ, რომ დაცულ იქმნან უცხო ქვეყნელი ქვეშევრდომნი ყველგან იმპერიაშიო.

**სტამბოლი.** თანდათან შუქი ეფინება სიგრაში მომხდარს ამბავს. ოსმალეთმა და უცხო სახელმწიფოთა ელჩებმა კვირას დეპეშა მიიღეს, რომ სიგრა უნდა დაიჭიროს დროებით ინგლისის ჯარმაო. ოსმალეთმა მიჰმართა სერ უილიამ უაიტს, აგვიხსენით, ეს რა ამბავიაო. ინგლისის ელჩმა პასუხად შეუთვალა, რომ არაფერია, ეგ ამბავი ჯარების ჩვეულებრივი თამაშობა-წურთვნაა, რომელიც ყოველთვის იმართება დროითი დროთიო. კვირას ინგლისის ესკადრა ისევ უკანვე დაბრუნდა მარგარიტას. ოსმალეთის მაღალ საზოგადოებაში მაინც ასე ჰგონებენ, რომ ეგ ამბავი ჩვენდა გასაფრთხილებლად იქმნა მომხდარი, რათა ხონთქარი დაეფიქრებინათო.

**მადრიდი.** მამული ალკმერია წყალდიდობამ გაიოხრა; 500 სახლი დაიქცა. წყალ-დიდობამ დიდად დაზარალა რამდენიმე სოფელი სლუდადრეალის პროვინციაში.

**პარიჟი.** ინგლისის ესკადრა მიტელენს ახლოს წურთვნა-ვარჯიშობისათვის იყო და არაფერი სხვა განზრახვა არა ჰქონია-რა; ეს-კი მაინც უკვირთ რომ ინგლისის ესკადრის კომანდირმა წურთვნა-ვარჯიშობისათვის ისეთი სტრატეგიული ადგილი აირჩია. ამ ამბავმა არც უმიზეზოთა და უსაბუთოდ ასტეხა მანგაში. „Times“-ი ამბობს, რომ ასეთი Conp de main პირველის „სოტის“ საერთა-შორისო საზღვაოსნო ავაზაკობა იქმნებოდაო.

პეტერბურგის ბირჟა, 3 სექტემბერი

| | მყიდველთა. | გამყიდველთა. | გაყიდულთა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 48 | 7, 53 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149½ | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 238 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 223¼ |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურ. ცებ. . , , , | 212½ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმდ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მაისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოგა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

## განცხადებანი

### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . | 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . | 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

### ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე . . . . . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად . . . . . . . . | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა . . . , . . . . . . | 1 | 20 |
| იგივე ყდით . . . . . . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით. | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის მიერ, . | „ | 30 |
| იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . . | „ | 75 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . | „ | 20 |
| „წყალობა“, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით ნათარგმნი თ. სახოკიას-მიერ . . . | „ | 30 |
| ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთში გამოცემული. . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . | „ | 80 |
| მეფე დავით აღმაშენებელი. ისტორ. დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა . . . . . . . | „ | 40 |
| გიორგი ვაშინგტონი, თარგ. ნ. ბარნაბიშვილის-მიერ. . | „ | 30 |
| მაჭმადიანთ ლექსები, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 10 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები წიგნი I . . . . . | „ | 30 |
| სამის თავს გადასავალი, მოთხრ. ან. ფურცელაძისა. . | „ | 25 |
| ქიტესა—მისივე . . . . . . . . . | „ | 15 |
| სამი სხვერპლი, დ. კარიჭაშვილისა . . . . | „ | 30 |
| ლენტის მსგავსნი ჭიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| პატიოსანი ადამიანი. . . . . . . . | „ | 5 |
| ჟანნა-დარკ . . . . . . . . . | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. . . . . . . . | „ | 5 |
| „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . | „ | 50 |
| „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . . | „ | 50 |
| „შვილის აღზრდა“, თ. ხუსკივაძისა. . . . . | „ | 20 |
| ფიზიკური აღზრდა, გ. იოსელიანისა . . . . . | „ | 20 |

Дозв. ценз. Тифлисъ, 5-го Сентября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი ზრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.